



გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
ASSEMBLY MUNICIPALITY OF GARDABANI



განკარგულება:გ-19. 19250597

თარიღი:28/02/2025

**განკარგულება N19**

**გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის ტერიტორიაზე შპს „ქიუ არ ბი ენ ვი ინვესტმენტ ჯორჯიას“ (ს/ნ 405678360) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: 81.12.11.303, 81.12.11.306) სასაწყობე მეურნეობის მშენებლობისათვის განაშენიანების დეტალური გეგმის ინიცირების შეთანხმების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“, 41-ე მუხლის, 43-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 47-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის“ მე-3 მუხლის მე-7 პუნქტისა და მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

**მუხლი 1**

შეთანხმებულ იქნეს, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის ტერიტორიაზე შპს „ქიუ არ ბი ენ ვი ინვესტმენტ ჯორჯიას“ (ს/ნ 405678360) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: 81.12.11.303, 81.12.11.306) სასაწყობე მეურნეობის მშენებლობისათვის განაშენიანების დეტალური გეგმის ინიცირების დოკუმენტი, თანდართული დანართის შესაბამისად.

**მუხლი 2**

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**მუხლი 3**

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში მისამართზე: ქ. რუსთავი ბოსტანქალაქის ქუჩა №6 „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ 22-ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო-  
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

